DRI 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას აჯამებს

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია „ყველა ხალხისა და ყველა ერის საერთო მონაპოვრად“ გამოაცხადა.

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 75 წლის თავზე, საქართველოში ადამიანის საბაზისო უფლებების დაცვა კვლავ გამოწვევად რჩება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია - საქართველოში მცირდება განსხვავებული აზრის თავისუფლად, რეპრესიების შიშისაგან თავისუფალ გარემოში გამოთქმის სივრცე, რაც ჟურნალისტების, უფლებადამცველების, სამოქალაქო აქტივისტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში, უფლებადამცველების მიმართ გახშირებულ რეპრესიებში, საპროტესტო აქციების დროს არაპროპორციული ძალის გამოყენებასა და ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების ძალადობის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში გამოიხატება. საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა საპროტესტო აქციების გაშუქებისას ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებისა და ლიდერების ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტებს.

მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა სასამართლო სისტემის და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის კუთხით. სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისული მდგომარეობის დადასტურებას წარმოადგენდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ქართველი მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესება კორუფციული საქმიანობის გამო. პრობლემაზე ადეკვატური რეაგირების ნაცვლად, მმართველმა პარტიამ კორუფციაში მხილებულ მოსამართლეებს, რომლებიც სასამართლოში არსებული კლანის გავლენიან წევრებს წარმოადგენენ, სოლიდარობა გამოუცხადა. მართლმსაჯულების სისტემის კლანური წესით მართვა უარყოფითად აისახება ყოველდღიური მართლმსაჯულების ხარისხზე.

2023 წელს, გენდერული თანასწორობის კუთხით პოზიტიურ ჭრილში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, გაიზარდა „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების გენდერული ნიშნით დისკრედიტაციის მცდელობები, რაც ფასადურს ხდის გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ პროგრესს.

საანგარიშო წელი გამორჩეული იყო შრომის უფლებების დასაცავად სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ გამართული პროტესტებით და გაფიცვებით. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა ნაწილმა პროტესტით მიაღწია სასურველ შედეგს, ქვეყნის მასშტაბით კვლავ გადაუჭრელი რჩება აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომა, შესვენებით, შვებულებით, ე.წ. ბიულეტენით სარგებლობის უფლება.

სახელმწიფოს კვლავაც არ აქვს ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის და უსახლკარობასთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა და ხედვა. ქვეყანაში არსებული სერვისები (ცენტრალური ხელისუფლების თუ მუნიციპალურ დონეზე), რომლებიც მიემართება უსახლკარო პირებს, არასაკმარისი და არაადეკვატურია პრობლემის მასშტაბურობასთან გასამკლავებლად.

2023 წელს საქართველოში გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები წამალზე ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ დააკმაყოფილა აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების მოთხოვნა და უზრუნველყო ბავშვების უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვაზე.

მიუხედავად ცალკეული წარმატებისა, საქართველოში დამკვიდრდა ბუნებრივი რესურსების განკარგვის გაუმჭვირვალე და ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკა, რაც დაუყოვნებლივ გადახედვას საჭიროებს.

საანგარიშო პერიოდში, რუსულ ოკუპაციას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ორი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა - რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლომისას ეკლესიის მიდამოებში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს კირბალის მკვიდრი თამაზ გინტური. 2023 წლის 10 დეკემბერს კი, გალის მკვიდრი თემურ კარბაია გალში მილიციელების ცემის შედეგად მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა აფხაზეთში უკანონო პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად არაეფექტიანი და არასაკმარისი იყო.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველების ყოველდღიური ყოფიდან მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად იდევნება ქართული ენა. გარდა იმისა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში ეთნიკურ ქართულ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რიგ შემთხვევებში, გალის და ახალგორის ქართველებს მშობლიურ ენაზე საუბარი ეკრძალებათ.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

2023 წელს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია. მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაკავებისას, საგანგაშოა სამართალდამცავების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა და დაუსაბუთებელი და არაპროპორციული ძალადობა. ევროკომისიის მიერ 2023 წლის ნოემბერში განსაზღვრული 9 პრიორიტეტიდან ერთ-ერთი საქართველოს ხელისუფლებას პირდაპირ მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტის გაუმჯობესების ვალდებულებაზე.

სამოქალაქო ჩართულობის კუთხით, თავისუფალი სივრცის შევიწროების ყველაზე თვალნათელი მაგალითი 2023 წლის მარტის მოვლენები იყო. მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან ე.წ. აგენტების შესახებ რუსული კანონის ინიციირებამ და შემდეგ

დაჩქარებული წესით განხილვამ, რა დროსაც ხელისუფლებამ კრიტიკულად შეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, საზოგადოების ფართომასშტაბიანი პროტესტი გამოიწვია. ხელისუფლებამ დემონსტრანტებს ფიზიკური ძალით უპასუხა. ადმინისტრაციული წესით დააკავეს არაერთი ადამიანი, მათ შორის, ისინიც, ვინც პროფესიულ საქმიანობას ასრულებდა. დარბევის დროს ფიზიკურად დაშავდა პროტესტის არაერთი მონაწილე.[1] ხელისუფლების მხრიდან წიწაკის სპრეის, ცრემლსადენი გაზისა და სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენება განურჩევლად ყველა დემონსტრანტის მიმართ, არ წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ და ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ საშუალებას.

მიმდინარე წელს სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს არაერთი მშვიდობიანი დემონსტრანტი, რომლებიც საქართველოში ოკუპანტი ქვეყნის გავლენის ზრდას აპროტესტებდნენ.[2] განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე პლაკატზე გაკეთებული წარწერის და ცარიელი ფურცლის გამო რამდენიმე პირის, მათ შორის, ადვოკატის, სამოქალაქო აქტივისტების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიდერის დაკავება; მათი ადგილსამყოფელი გარკვეული დროის განმავლობაში უცნობი იყო.[3] სასამართლომ დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნო, რაც აზრის თავისუფლებაზე ცენზურის დაკანონების მცდელობას წარმოადგენს და უარყოფს სასამართლოს როლს სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობის წინააღმდეგ. პოლიციამ უკანონოდ დააკავა 31 ივლისს ბათუმის პორტში კრუიზ „ASTORIA GRANDE“-ს შემოსვლასთან დაკავშირებით მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეები.[4] რაჭის პროტესტთან დაკავშირებით გამართული აქცია გამონაკლისი არ ყოფილა. აქციაზე მშვიდობიანი პროტესტის 11 მონაწილე დააკავეს.[5] მისასალმებელია, რომ სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების უმეტესობის მიმართ საქმისწარმოება შეწყდა.

მოქალაქეთა აქტიურობის, გამოხატვის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსია. სამწუხაროდ, კოდექსის რეფორმა 2023 წელსაც არ გატარებულა.

საპროტესტო აქციების განსხვავებით, 2023 წელსაც თვალსაჩინო იყო სამართალდამცავთა უმოქმედობა და ლოიალური დამოკიდებულება ძალადობრივი აქციების ორგანიზატორებისა და დემონსტრანტების მიმართ. 2021 წლის 5 ივლისისგან განსხვავებით, შსს-მ უზრუნველყო სამართალდამცავთა უპრეცედენტო რაოდენობის მობილიზება 8 ივლისს დაგეგმილი „თბილისი პრაიდის“ დახურული ღონისძიების დასაცავად, თუმცა, პოლიციელთა დიდი რაოდენობის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სამართალდამცველების უმოქმედობა. მეტიც, პოლიცია თავად შეუძღვა ჩაშლილი ფესტივალის ტერიტორიაზე ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორებს „თბილისი პრაიდის“ მონაწილეთა ევაკუაციაში დასარწმუნებლად. სამართალდამცავთა ჯეროვანი რეაგირება არ მოჰყოლია არც ფესტივალის კერძო ტერიტორიის დარბევასა და გაძარცვას.

---

[1] tabula.ge (ვებგვერდი), 05.04.2023, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/699589-aktsiaze-dazaralebuli-mokalake-volskis-tu-rame

[2] democracyresearch.org (ვებგვერდი), 19.05.2023, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1201/

[3] democracyresearch.org (ვებგვერდი), 02.06.2023, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1212/

[4] democracyresearch.org (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1267/

[5] democracyresearch.org (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1354/

ნაცვლად ფუნდამენტური რეფორმებისა, რაც შეკრებისა და გამოხატვის უფლებების დაცვას მოემსახურებოდა, მმართველი პარტიამ დააინიციირა კანონპროექტი, რომელიც მიღების შემთხვევაში უსაფუძვლოდ შეზღუდავს აღნიშნულ უფლებებს. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი დროებითი კონსტრუქციების მოწყობას ხუთი ბუნდოვანი და ზოგადი საფუძვლით კრძალავს. პრეზიდენტის ვეტოს შემდეგ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა კანონპროექტის დღის წესრიგში დაბრუნებას არ ჩქარობს, თუმცა საგანგაშოა, რომ მიმდინარე წელს კანონპროექტით გათვალისწინებული შეზღუდვები, კანონის ძალაში შესვლის გარეშე, პრაქტიკაში მაინც მოქმედებდა. არაერთ შემთხვევაში, სამართალდამცავები მშვიდობიან დემონსტრანტებს არ აძლევდნენ კარვის დადგმის შესაძლებლობას.

მედიის თავისუფლება

2023 წელს, გასული წლების მსგავსად, მედიის თავისუფლების კუთხით, ვითარება არ გაუმჯობესებულა. ხელისუფლებამ არათუ არ გაატარა ქმედითი ზომები მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ, თავად მოგვევლინა ჟურნალისტებისთვის საფრთხის წყაროდ. 2023 წლის განმავლობაში, საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს რამდენიმე ჟურნალისტი. 2023 წლის მარტში ე.წ. აგენტების რუსული კანონის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე პროფესიული საქმიანობის შესრულებისას დააკავეს „პუბლიკას“ დირექტორი ზურა ვარდიაშვილი და ონლაინ-გამოცემა „ტაბულას“ ჟურნალისტი ბექა ჯიქურაშვილი.[6] მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, სასამართლომ ორივე ჟურნალისტი 2200-2200 ლარით დააჯარიმა. ამ დროისთვის, ჟურნალისტის დაკავების ბოლო შემთხვევა რაჭის ტყეებთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციაზე მოხდა.[7] აქციების გაშუქების დროს ჟურნალისტების დაკავების მავნე პრაქტიკას მედიის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტი აქვს. ამასთან, ჟურნალისტის დაკავება, როდესაც ის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს, წარმოადგენს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

მიმდინარე წელს, ხელისუფლების წარმომადგენლები აგრძელებდნენ აგრესიულ რიტორიკას ჟურნალისტების მიმართ. ამასთან, თვალსაჩინოდაა გაზრდილი მედია წარმომადგენლების წინააღმდეგ ე.წ. SLAPP (Strategic Litigation against Public Paritipation) სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვის ტენდენცია.[8]

რეგრესი შეინიშნება კანონმდებლობის ცვლილებების კუთხითაც. 2023 წელს „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილება იზრდება, მათ შორის, სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებით.[9] აღნიშნული ცვლილებები აჩენს რისკს, რომ ხელისუფლებამ კონკრეტული მექანიზმები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ გამოიყენოს.

სამწუხაროდ, სახელმწიფომ არც 2023 წელს უზრუნველყო 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენების სათანადო გამოძიება. დღემდე არ დასჯილან მასობრივი

---

[6] on.ge (ვებგვერდი), 03.03.2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/lCGQ9
[7] civil.ge (ვებგვერდი), 18.11.2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/570357
[8] gdi.ge (ვებგვერდი), 08.06.2023, ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/index.php/ge/news/gdi-s-angarishi-slapp-saqmeebi-saqartveloshi-akhali-safrtkhe-2
[9] civil.ge (ვებგვერდი), 20.10.2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/564561

ძალადობის ორგანიზატორები, რის შედეგადაც 50-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს დაზარალებულ ჟურნალისტთა საქმეები კვლავ გამოუძიებელია. დღემდე არ დამდგარა შედეგი 2021 წლის ოქტომბერში გამჟღავნებული ფარული ჩანაწერების საქმეზე, რომლის დროსაც ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება სავარაუდოდ უკანონოდ უთვალთვალებს და აყურადებს სოციალურად და საზოგადოებრივად აქტიურ არაერთ ადამიანს, მათ შორის, ჟურნალისტებს.

მედიის თავისუფლების კუთხით, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებლის ნიკა გვარამიას შეწყალება.[10]

უფლება სამართლიან სასამართლოზე

ქართული მართლმსაჯულების სისტემის მთავარ გამოწვევად 2023 წელსაც კლანური მმართველობა რჩებოდა, რაც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ სასამართლო სისტემის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართვაში გამოიხატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, საქართველოს პარლამენტი შეეცადა საკანონმდებლო დონეზე შეესრულებინა ევროკომისიის რეკომენდაცია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, გაწეული სამუშაო ევროპულმა კომისიამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემის სრულფასოვანი რეფორმა კვლავ მოხვდა ევროკომისიის ცხრა პირობას შორის. 2023 წელს მართლმსაჯულების სისტემისთვის რეგრესად უნდა შეფასდეს 27 ივლისს დამოუკიდებელი ინსპექტორის სასამართლოს გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირის არჩევა.

მიმდინარე წლის 17 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის ვაკანტურ ადგილზე საქართველოს პარლამენტმა არამოსამართლე წევრები აირჩია.[11] მიუხედავად რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატის მხარდაჭერისა, გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე არ მიღებულა.

მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის ის უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა მოსამართლეთა მივლინებას, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების არჩევას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმიანობას, კორპორატივიზიმის აღმოფხვრას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას.[12]

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოს სამი მოქმედი (ლევან მურუსიძე, მიხეილ ჩინჩალაძე და ირაკლი შენგელია) და ერთი ყოფილი მოსამართლისთვის (ვალერი ცერცვაძე) სანქციების დაწესება[13] მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო. პრობლემაზე ადეკვატური რეაგირების ნაცვლად, მმართველმა პარტიამ კორუფციაში მხილებულ მოსამართლეებს სოლიდარობა გამოუცხადა და პროცედურული საბოტაჟის გზით

---

[10] radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 22.06.2023, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32471204.html

[11] civil.ge (ვებგვერდი),პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი არამოსამართლე წევრი აირჩია,17.05.2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/542707

[12] formulanews.ge (ვებგვერდი), 09.11.2023, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/99063

[13] radiotavisupleba.ge (ვებგვერდი),აშშ-მა საქართველოს 4 მოსამართლეს სანქციები დაუწესა, 05.04.2023, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32350958.html

ხელი შეუშალა სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.[14]

მართლმსაჯულების სისტემის კლანური წესით მართვა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ყოველდღიური მართლმსაჯულების ხარისხზე. 2023 წელს მთავარ გამოწვევად რჩებოდა საქმეების განხილვის გაჭიანურება, მოსამართლეთა მიუკერძოებლობა, ბუნდოვანი გადაწყვეტილებები და განაჩენები.[15]

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი გენდერული თანასწორობის გაძლიერებას შეეხებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის შესასრულებლად განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა გენდერული ზეგავლენის საკითხის ინსტიტუციონალიზაციის შესახებ ინიციატივას, ასევე, ცვლილებები შევიდა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში, რომლის თანახმადაც, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა სახელმწიფოს როლი გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის პროცესში. პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო კოდექსშიც, რამაც „გენდერული კვოტირების“ ვადა 2032 წლის ოქტომბრამდე გაახანგრძლივა. აღნიშნული ცვლილებების კვალდაკვალ, პარლამენტის მხრიდან დამტკიცდა „გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია” და „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია”.

2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში, ევროკომისიამ მე-9 რეკომენდაცია სრულიად შესრულებულად მიიჩნია და პოზიტიურად შეაფასა საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გენდერული თანასწორობის ზრდასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, გენდერული თანასწორის გასაძლიერებლად გამოწვევად რჩება საქართველოს კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან.

2023 წელს, გენდერული თანასწორობის კუთხით პოზიტიურ ჭრილში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, მასშტაბური ხასიათი მიიღო „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების გენდერული ნიშნით დისკრედიტაციის მცდელობებმა. ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვიერი თავდასხმა ოპოზიციონერ ქალებზე მიზნად ისახავდა მათ დარცხვენას და პოლიტიკურ სივრცეში მათი სამოქმედო არეალის შეზღუდვას ქცევით ნორმებზე გენდერული ნიშნით აპელირებით. 2023 წელს, „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მავნებლური პრაქტიკა. 31 ოქტომბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს თეონა აქუბარდიას სექსისტური და უხამსი რეპლიკით უპასუხა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალუდა ღუდუშაურმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ ანა წითლიძეს ასევე სექსისტური და ღირსების შემლახავი განცხადებით მიმართა. საგულისხმოა, რომ ანა წითლიძე 20

[14] Parlament.ge (ვებგვერდი), 18.05.2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/aoxV4

[15] courtwatch.ge (ვებგვერდი), 27.09.2023, ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/everyday-justice-in-the-regions-of-georgia/

სექტემბერსაც აღმოჩნდა სექსისტური განცხადების სამიზნე, ამჯერად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მხრიდან, რომელმაც აღნიშნა, რომ „ქალთან პოლემიკაში არ შევა“. 2023 წლის 17 ნოემბერს პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ლევან მგალობლიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის” წევრ თინა ბოკუჩავას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ანი წითლიძეზე კი ფიზიკური თავდასხმა სცადა.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიზოგინიური, სექსისტური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები მძიმედ აისახება საქართველოში ქალთა უფლებების დაცვაზე. 2023 წელს, „ქართული ოცნების“ მხრიდან წარმოებული სექსისტური კამპანია ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების წინააღმდეგ პოლიტიკური ველიდან ქალი პოლიტიკოსების განდევნას ემსახურება და ქალთა მარგინალიზაციის პრაქტიკის ნორმალიზებას იწვევს.

„ქართული ოცნების“ მიერ წარმოებული ქალთა მადისკრედიტირებელი პოლიტიკური კამპანია სრულ აცდენაშია გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის ღირებულებებთან და მიზნებთან. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული პროგრესი პრაქტიკაში აღსრულების გარეშე ფასადურად დარჩება.

შრომის უფლება

2023 წელი გამორჩეული იყო შრომის უფლებების დასაცავად სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ გამართული პროტესტებით და გაფიცვებით. წლის დასაწყისში გაიფიცნენ სასწრაფო დახმარების ექიმები, რასაც კურიერების, ტელევიზიის ოპერატორებისა და ჭიათურის მაღაროელების გაფიცვები მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მშრომელების ნაწილმა პროტესტით მიაღწია შედეგს, ქვეყნის მასშტაბით კვლავ გადაუჭრელი რჩება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: პრაქტიკაში აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომა, შესვენებით, შვებულებით, ე.წ. ბიულეტენით სარგებლობის უფლება.

საქართველოში არ მოქმედებს სოციალური დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა, უმუშევრობის დახმარება ან უმუშევრობის დაზღვევა, რომელიც შრომის ბაზარზე ხელახლა დასაქმებამდე გარკვეულ სოციალურ გარანტიებს შექმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ წელს გამართული პროტესტების ნაწილი (მაგალითად, ჭიათურის მაღაროელების გაფიცვა) აჩვენებს, რომ მშრომელთა ორგანიზებულ ბრძოლას უფლებების დასაცავად შედეგი მოაქვს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა დასაქმებულებს ვერ უზრუნველყოფს საკუთარი უფლებების დასაცავად რეალური მექანიზმებით. დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის მედიაციის პროცესი დროში საკმაოდ გაწელილი და ბიუროკრატიულად დატვირთული პროცესია, რაც დასაქმებულთა ორგანიზების პროცესს აბრკოლებს.

ასევე, კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის გარანტირებული სოლიდარული გაფიცვის უფლება, რაც მასობრივი პროფკავშირული საქმიანობისთვის და ზოგადად ქვეყნის მასშტაბით შრომის უფლებების დაცვის მიზნით სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული ადამიანების გაერთიანებას აფერხებს. საქართველოს შრომის კოდექსი გაფიცვის შესაძლებლობას დასაქმებულებს მხოლოდ მათ დამსაქმებლებთან დავის არსებობის შემთხვევაში აძლევს, რაც გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობას.

მართალია საქართველოს მთავრობის პოზიციით,[16] საქართველოს შრომის კანონმდებლობა არ გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლებით სარგებლობას, თუმცა ის, რომ სოლიდარული გაფიცვის უფლება შრომის კოდექსით პირდაპირ აღიარებული არაა, ასეთი გაფიცვის გამართვის დამაბრკოლებელი გარემოებაა. დღეს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში გამართული სოლიდარობის გაფიცვა კანონიერი აღმოჩნდება თუ არა, საქართველოს სასამართლოების გადასაწყვეტია და სასამართლოს მიერ ამ საკითხის შეფასება შესაძლოა საქართველოს მთავრობის მოსაზრებისგან განსხვავებული იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, საქართველოს შრომის კანონმდებლობა არაორაზროვნად და პირდაპირ ანიჭებდეს დასაქმებულებს სოლიდარული გაფიცვის უფლებას. სოლიდარული გაფიცვა არა ერთ ქვეყანაში აღიარებული უფლებაა, რომელსაც დასაქმებული იყენებენ ხელფასების გაზრდის, შრომის პირობების გაუმჯობესების და შრომასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფართო პრობლემების გადასაჭრელად, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნით და არა ვიწროდ, კონკრეტულ დამსაქმებლებთან დავის შემთხვევებისთვის.

გარდა უფლების დაცვის არაეფექტური მექანიზმებისა, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ საქართველოში სამედიცინო სექტორის გარდა, არც ერთ სფეროში არ არის რეგულირებული მინიმალური ხელფასის ოდენობა. შედეგად, ვიღებთ უამრავ დაბალანაზღაურებად დასაქმებულს, ვისთვისაც დასაქმება მხოლოდ გარდაუვალი სიღარიბის გარანტიაა და არა მისგან თავის დაღწევის პერსპექტივა.

საცხოვრებლის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის გამო 2022-2023 წლებში საქართველოში შემოსული მიგრანტების მასშტაბურმა ნაკადმა მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც საცხოვრებლის საბაზრო ღირებულება, ასევე, ქირის საფასური, სახელმწიფოს კვლავაც არ აქვს ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის და უსახლკარობასთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა და ხედვა; საცხოვრებლის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა მწირი და ხარვეზიანია. ქვეყანაში არსებული სერვისები (ცენტრალური ხელისუფლების თუ მუნიციპალურ დონეზე), რომლებიც უსახლკარო პირებს მიემართება, არასაკმარისი და არაადეკვატურია პრობლემის მასშტაბურობასთან გასამკლავებლად. სახელმწიფოს არ აქვს გრძელვადიანი, მრავალწლიანი საბინაო პოლიტიკა და გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თუნდაც სოციალური საცხოვრებლის მოდელი, რომელიც ევროპის სახელმწიფოებში მე-19 საუკუნის ბოლოდან მოქმედებს.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

2023 წელს საქართველოში გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები წამალზე ხელმისაწვდომობის კუთხით. კერძოდ, სახელმწიფო მართული შესვლის შეთანხმების (MEA) პრინციპების გათვალისწინებით, უშუალოდ მწარმოებლისგან შეიძენს ონკოლოგიურ პრეპარატებს.[17] გაიზარდა იმ წამლების ჩამონათვალი, რომლის ფასებზეც რეფერენტული

---

[16] Direct Request (CEACR) - adopted 2017, published 107th ILC session (2018) Freedom of Association and Protection of the Right to Organise Convention, 1948 (No. 87) - Georgia (Ratification: 1999). ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_NAME,P11110_COMMENT_YEAR:3344016,102639, Georgia, 2017

[17] სახელმწიფო ონკოლოგიურ პრეპარატებს პირდაპირი წესით შეისყიდის, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/ka/news/7749/

ფასწარმოქმნის მექანიზმი გავრცელდა.[18] თუმცა კვლავ რჩება პრობლემები რეფერენტული ფასების პრაქტიკული ამოქმედების და სახელმწიფოს მიერ ფასების კონტროლის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყენებული ორივე მიდგომა: მართული შესვლის შეთანხმების (MEA) და რეფერენტული ფასწარმოქმნაც მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია იყო.[19]

ჯანდაცვის უფლების ეფექტურ რეალიზებას მრავალთვიანი პროტესტის შემდეგ მიაღწიეს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებმა. 2023 წლის მნიშვნელოვანი პოზიტიური სიახლე იყო ჯანდაცვის სექტორის მუშაკებისთვის საათობრივი მინიმალური ხელფასის დადგენა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე სტაციონარულ კლინიკებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მინიმალური ანაზღაურება საათში 7 ლარით (თვეში მინიმუმ 1260 ლარი), ექთნების კი საათში 4.4 ლარით (თვეში მინიმუმ 792 ლარი) განისაზღვრა.[20] მიუხედავად მინიმალურად მზარდი ანაზღაურებისა, საქართველოში ექთნების რგოლის სამედიცინო პერსონალის დეფიციტია. კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის პროფესიაში შენარჩუნებისთვის სახელმწიფომ მათი ანაზღაურების შემდგომი ზრდისთვის პირობები უნდა შექმნას.

გარემოს დაცვის უფლება

2023 წელი დატვირთული იყო საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებით საქართველოს არა ერთ რეგიონში: რაჭაში, ყაზბეგში, მარტვილში. ყველა შემთხვევაში, მოსახლეობა აპროტესტებდა მათი გვერდის ავლით და მათი აზრის გაუთვალისწინებლად გარემოს სარგებლობის ლიცენზიის გაცემას ცალკეულ პირებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო ლიცენზიის გაცემის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, მათთან დიალოგი და კომუნიკაცია. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო რაჭის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად 104 ჰექტარი მიწის 49 წლიანი იჯარის უფლებით გადაცემამ რუსეთის მოქალაქე დავით ხიდაშელისთვის, რომელიც სანქცირებულ რუს ოლიგარქთან დაკავშირებული პირია და რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია „ქართულ ოცნებას“ დავით გარეჯთან დაკავშირებული დეზინფორმაციული პროპაგანდისტული საინფორმაციო კამპანიის საწარმოებლად. რაჭის ტყეების მრავალწლიანი იჯარის გადაცემის წინააღმდეგ პროტესტმა 2023 წლის ბოლოს თბილისში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გადმოინაცვლა. შეკრებილებს თავდაპირველად არ მიეცათ სამინისტროს წინ კარვის გაშლის უფლება. მოგვიანებით, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხიდაშელისთვის გაცემული ლიცენზიის გაუქმების თაობაზე დადებითად უნდა შეფასდეს. მიუხედავად ცალკეული წარმატებული პროტესტისა, საქართველოში ბუნებრივი რესურსების განკარგვის გაუმჭვირვალე და ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის გარეშე

---

[18] წამლების ჩამონათვალი, რომლებზეც რეფერენტული ფასი მოქმედებს, გაიზარდა, ფასის ზედა ზღვარი 2 300-ზე მეტ მედიკამენტზეა განსაზღვრული. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/wamlebis-chamonatvali-romlebzec-referentuli-fasi-moqmedebs-gaizarda-fasis-zeda-zghvari-2-300-ze-met-medikamentzea-gansazghvruli/

[19] GEORGIA Human Capital Review, ხელმისაწვდომია: https://cdniq.us1.myspdn.com/atsdpid1d6u5cmy4j61kro6gh/wp-content/uploads/2022/10/World-Bank-Human-Capital-Report-on-Georgia.pdf

[20] 2023 წლის პირველი იანვრიდან, ექიმებისა და ექთნების მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაწესდება, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/ka/news/7186/2023-wlis-pirveli-ianvridan%2C-eqimebisa-da-eqTnebis-minimaluri-saaTobrivi-anazRaureba-dawesdeba?fbclid=IwAR3ijJaDM8M3vEj1-puyNUDUhYQevrye2dq46d5ByvmzFR4PS1OVetl6aRw

მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკა დამკვიდრდა, რაც დაუყოვნებლივ გადახედვას საჭიროებს.

ადამიანის უფლებების მდგომარეობა ოკუპირებულ რეგიონებში

2023 წელს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარე ზონებიდან, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები აგრძელებდნენ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის გატაცების უკანონო პრაქტიკას. გატაცებები განსაკუთრებით ხშირი იყო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია აფხაზეთში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს სულ მცირე ხუთი მოქალაქის, მათ შორის, ირაკლი ბებუას გათავისუფლებას. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად არაეფექტიანი და არასაკმარისია.

საანგარიშო პერიოდში, რუსულ ოკუპაციას საქართველოს ორი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა - რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლომისის ეკლესიის მიდამოებში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს კირბალის მკვიდრი თამაზ გინტური. 2023 წლის 10 დეკემბერს გალის მკვიდრი თემურ კარბაია გალში მილიციელების მიერ სასტიკად ცემის შედეგად მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა.

2014 წლიდან დღემდე რუსული საოკუპაციო ძალების და ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილია ექვსი მკვლელობა: დავით ბაშარული, გიგა ოთხოზორია, არჩილ ტატუნაშვილი, ირაკლი კვარაცხელია, თამაზ გინტური და თემურ კარბაია. სახელმწიფოს არაეფექტიანი რეაგირება ახალისებს ყოველ მომდევნო მკვლელობას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველების ყოველდღიური ყოფიდან მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად იდევნება ქართული ენა. გარდა იმისა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რიგ შემთხვევებში, გალის და ახალგორის ქართველებს მშობლიურ ენაზე საუბარი ეკრძალებათ.

2003 წლის 1 სექტემბრიდან გალის რეგიონის ზედა ზონის ცხრავე სკოლა სრულად რუსულ სწავლებაზე გადავიდა. ქართულ ენას, რომელიც მხოლოდ უცხო ენად ისწავლება, კვირაში სამ საათამდე ეთმობა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ იგივე პოლიტიკა გაატარა გალის რეგიონის ქვედა ზონის სკოლების მიმართაც. შესაბამისად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანმა გამოშვებამ სწავლა 2022 წელს დაამთავრა, რითაც აფხაზეთში სრულად რუსული სწავლების მოდელი გაფორმდა.

იგივე მდგომარეობაა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში. აქ სკოლები სრულად რუსულენოვან სწავლებაზე 2017 წლიდან გადავიდა. ბოლო ქართულენოვანი გამოშვება სკოლას 2024 წელს დაამთავრებს.

ცხინვალის რეგიონში მდებარე ბაგა-ბაღებში, აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს, ისევე, როგორც მომსახურე პერსონალს, ქართულ ენაზე საუბარი და მშობლიურ ენაზე ერთმანეთთან კომუნიკაცია ეკრძალებათ. იგივე ხდება ოკუპირებულ აფხაზეთში. ქართულ ენაზე საუბრის გამო ბაგა-ბაღის არაერთი თანამშრომელი გახდა სამსახურიდან გათავისუფლების მუქარის

მსხვერპლი. ახალგორში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც აღსაზრდელების მშობლები ბაღში დაიბარეს და შენიშვნა მისცეს იმის გამო, რომ მათი შვილები ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ.